თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

P.S.

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“



# საქმე, რომლის გამოც სააკაშვილს დაიჭერენ?

იხილეთ მე-2 გვერდზე

№35 (723) 1 - 7 დეკემბერი, 2014 გამოდის 1995 წლიდან ფასი: 70 თეთრი PSnews.ge

ეწვიეთ გაზეთ „P.S.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

# ქუთაისის ყინულის მოედნის დირექტორის ბრძანებებზე „მოსრიალე“ თანამშრომლები



## გივი ფანჩულიძეს თანამშრომელთა „ექსპლუატაციასა“ და „ღამის ფართებისთვის“ ფულის აკრებას ედავებიან

ქუთაისის მერიის დაქვემდებარებაში მყოფი ყინულის მოედნის ააიპ-ის 8 თანამშრომელს მიმდინარე წლის ზაფხულში დირექტორმა ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე ხელშეკრულება შეუჩერა. გათავისუფლებულთა ნაწილმა მომხდარი გააპროტესტა და მოედნის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ სასამართლო დავა წამოიწყო. ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ყოფილი თანამშრომლების სარჩელი დააკმაყოფილა, ყინულის მოედნის ხელმძღვანელობას თანამშრომლებისთვის კომპენსაციის გადახდა დააკისრა. თუმცა, დავა ამით არ დასრულებულა. ყინულის მოედნის დირექტორმა გივი ფანჩულიძემ სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციოში გასაჩივრება გადაწყვიტა, ყოფილ თანამშრომლებს უთხრა, რომ ეს მერიის მოთხოვნა იყო.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ფაქტები და მითები ევროკავშირის შესახებ

# მითი ოჯახური წარმოების სოფლის მეურნეობის პროდუქციით ვაჭრობის აკრძალვაზე მცდარია

იხილეთ მე-4 გვერდზე

## „ყვავს კაკალი გააგდებინო, მაინც ხეირია“

10 ლარით გაზრდილი პენსია და სიახლით უკმაყოფილო ქუთაისელი პენსიონერები

იხილეთ მე-5 გვერდზე



## PIN-მა სოციალურად დაუცველ ახალგაზრდებს პროფესიის უფასოდ შესწავლის და საკუთარი საქმიანობის წამოწყების საშუალება მისცა

იხილეთ მე-4 გვერდზე



ქიმერიონი
qimerioni.ge
წიგნების მაღაზია
ქუთაისი, ჭავჭავაძის 50ა;
ტელ.: 790 927 927.
წიგნები შენ გელოდება!
ქუთაისი, ჭავჭავაძის 50ა, ჭავჭავაძის უნივერმაღი წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“.
ტელ.: (790) 927 927.

PSnews.ge

ISSN 1987-7056

ჰოროსკოპი — გვ. 7 სკანვორდი — გვ.7 კროსვორდი — გვ. 7

## მკვლელობების სტატისტიკა საქართველოში

**„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ შინაგან საქმეთა სამინისტროსგან 2003-2014 წლებში რეგისტრირებული და გახსნილი დანაშაულის სტატისტიკა გამოითხოვა. მოთხოვნილი იყო სისხლის სამართლებრივი წესით დასჯადი შემდეგი ქმედებებისთვის: განზრახ მკვლელობა (მუხლი 108), განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში (მუხლი 109), განზრახ მკვლელობის მცდელობა (მუხლი 19,108) და დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის მცდელობა (19,109).**

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროდან მოწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა, მკვლელობის შემთხვევების მაჩვენებელმა ყველაზე მაღალ ნიშნულს 2007 წელს მიაღწია, როდესაც საქართველოს მასშტაბით აღნიშნული დანაშაულის 249 შემთხვევა დარეგისტრირდა. მომდევნო წლებში მაჩვენებელი ეტაპობრივად იკლებდა და 2011 წელს მხოლოდ 90 მკვლელობის შემთხვევა ფიქსირდება საქართველოში. 2012 წელს კვლავ შეინიშნება აღნიშნული დანაშაულის მატების ტენდენცია, როდესაც 2011 წელთან შედარებით 13 შემთხვევით იმატა. სამწუხაროდ, შეუძლებელია მოცემული ტენდენციის უტყუარი შეფასება 2013-2014 წლებისთვის, იქიდან გამომდინარე, რომ ინფორმაცია ხელმისაწვდომია მხოლოდ მოცემული წლების პირველი 10 თვის მდგომარეობით, თუმცა აღნიშნული მონაცემებით შესაძლებელია გარკვეული დასკვნების გამოტანა ქვეყნის მასშტაბით დაფიქსირებული მკვლელობების შესახებ.

მაგალითად, 2013 წლის 10 თვის განმავლობაში დაფიქსირებულია, დაახლოებით, იმავე ოდენობის მკვლელობის შემთხვევა, რაც 2012 წლის განმავლობაში სრულად. აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ,რომ 2013 წელს – 2012 წელთან შედარებით – მკვლელობების რიცხვი გაიზრდებოდა. განსხვავებული მდგომარეობაა 2014 წლის შემთხვევაში, როდესაც 2013 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 2014 წელს დაფიქსირებული მკვლელობების რაოდენობა შემცირებულია 20 ერთეულით.

როგორც მოწოდებული ინფორმაცია ცხადჰყოფს, მკვლელობის შემთხვევათა გახსნის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებლები 2013 და 2014 წლების საწყისი 10 თვის განმავლობაში ფიქსირდება.

psnews.ge

**მთავარი რედაქტორი:**
ნატო გუბელაძე

**დიზაინი:** ირმა ბახუტაშვილი

**ოპერატორი და კორექტორი:**
ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

**R — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე**

**გამომცემელი** — შპს „*P.S.*“ („პოსტსკრიპტუმი“).
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „*P.S.*“-ის კლასიფიკაციის კოდი:
**UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)**
**პ - 658**
**P - 86**

**მისამართი:** ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ა. პრესის სახლი.

- (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
- psnews27@gmail.com
- www.psnews.ge

# საქმე, რომლის გამოც სააკაშვილს დაიჭერენ?

**საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სანდრო გირგვლიანის საქმეზე სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიეცა. მიხეილ სააკაშვილს პროკურატურა დანაშაულში ჩართული მაღალი თანამდებობის პირებისათვის ხელის დაფარებაში სდებს ბრალს.**



მიხეილ სააკაშვილი

როგორც მთავარ პროკურატურაში გამართულ ბრიფინგზე პროკურორმა კოკა კაციტაძემ განაცხადა, სანდრო გირგვლიანის რეზონანსულ საქმეზე დანაშაულში ჩართული მაღალი თანამდებობის პირებისათვის ხელის დაფარების მიზნით, ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, იმდროინდელი შსს მინისტრის — ვანო მერაბიშვილის, მაღალჩინოსნების — დათა და ბაჩო ახალაიების, გენერალური პროკურორი კორდინირებულად და ურთიერთშეთანხმებით დანაშაულებრივი გეგმის შესაბამისად მოხდა.

კერძოდ, პროკურატურის ინფორმაციით, ამ ფაქტის გახმაურების და საზოგადოების მღელვარების გამო, საქმით საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დაინტერესდა. ვინაიდან დანაშაულში დავით ახალაიას ორგანიზატორობის, შსს მაღალი თანამდებობის პირების მონაწილეობის და მინისტრის მეუღლის — თამარ მერაბიშვილის დანაშაულთან შემხებლობის საჯაროდ გამჟღავნება ხელისუფლების რეიტინგსა და ავტორიტეტზე უარყოფითად აისახებოდა და ვანო მერაბიშვილისა და დათა ახალაიას პოლიტიკური და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დადგებოდა.

„აღნიშნული საფრთხეების თავიდან ასაცილებლად, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის, შს მინისტრის ივანე მერაბიშვილის, სად-ის უფროსის ბაჩანა ახალაიას და მისი ძმის კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის დავით ახალაიას მიერ ურთიერთშეთანხმებულად დაიგეგმა და მათზედ დაქვემდებარებული სახელმწიფო უწყებების გამოყენებით განხორციელდა დანაშაულებრივი ქმედებები ალექსანდრე გირგვლიანის მიმართ ჩადენილი დანაშაულის დასაფარად, სისხლის სამართლის საქმის ფალსიფიკაციის და საზოგადოების შეცდომაში შესაყვანად,“ — განაცხადეს პროკურატურაში.

პროკურატურის ინფორმაციით, გენერალურ პროკურატურაში გამართულ შეხვედრაზე გადაწყდა, რომ დანაშაულში მონაწილე დაბალი რანგის თანამდებობის პირებთან ერთად პასუხისგებაში უნდა მიცემულიყო შსს-ს ერთ-ერთი მაღალჩინოსანი გერონტი ალანია.

„სხვა მაღალი რანგის თანამდებობის პირები კი აცილებულ იქნებოდნენ პასუხისმგებლობისაგან. ამასთან დავით ახალაიას შეჰპირდა, რომ პასუხისგებაში მიცემულ პირებს შეიწყალებდა მათი მსჯავრდების შემდეგ,“ — განაცხადა **კაციტაძემ** და დასძინა, რომ 2008 წლის 24 ნოემბერს სააკაშვილმა, ბოროტად გამოიყენა რა მისი სამსახურებრივი უფლებამოსილება, გირგვლიანის საქმეზე მსჯავრდებულები შეიწყალა. პროკურატურის ცნობით, საქმეზე გამოძიება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მუხლით გრძელდება.

### სისტემური დანაშაული

პროკურატურის ინფორმაციით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოსთვის მიცემული რეკომენდაციების საფუძველზე ჩატარებული გამოძიების შედეგად დადგენილია, რომ საქმე გვაქვს სისტემურ დანაშაულთან.

„კერძოდ, ივანე მერაბიშვილი, რომელმაც დადასტურებულად იცოდა, რომ დანაშაულში იმხილებოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, საქმესთან შემხებლობა ჰქონდა მის მეუღლეს თამარ მერაბიშვილს და დანაშაულის ორგანიზატორი იყო დავით ახალაია, ვალდებული იყო უზრუნველყო დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გამოძიება, მაგრამ მიუხედავად ამისა, მან საქმის გამოძიების ხელმძღვანელობა დაავალა თავად დანაშაულის ორგანიზატორს დავით ახალაიას“ — განაცხადა გენერალური პროკურატურის პრესსპიკერმა.

გამოძიების ინფორმაციით, გენერალურ პროკურატურაში გამართულ შეხვრედაზე, რომელიც შეეხებოდა გირგვლიანის საქმეზე პასუხისგებაში მისაცემ პირთა განსაზღვრას, გადაწყდა, რომ დამნაშავეთა დასჯის მზარდი საზოგადოებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით, დანაშაულში მონაწილე დაბალი რანგის თანამდებობის პირებთან ერთად პასუხისგებაში უნდა მიცემულიყო შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი მაღალჩინოსანიც გერონტი ალანია. ამ გზით დავით ახალაია და ამ დანაშაულთან კავშირში მყოფი სხვა მაღალი თანამდებობის პირები აცილებულ იქნებოდნენ პასუხისმგებლობისაგან.

„გენერალურ პროკურატურაში მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ, იმავე დღეს, მიხეილ სააკაშვილთან გაიმართა შეხვედრა, რომელიც ასევე შეეხებოდა გირგვლიანის საქმეზე პასუხისგებაში მისაცემ პირთა საკითხის გადაწვეტას და მსჯავრდების შემდგომ სასჯელის მოხდისგან შეწყალებით ვადამდე განთავისუფლებას. მიხეილ სააკაშვილმა დავით ახალაიას უთხრა, რომ გირგვლიანის საქმით გამოწვეული საზოგადოებაში არსებული მზარდი მღელვარების ჩასაცხრობად, რამდენიმე დაბალი რანგის თანამდებობის პირთან ერთად პასუხისგებაში უნდა მიცემულიყო კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მაღალჩინოსანი გერონტი ალანიაც, სხვა მაღალი რანგის თანამდებობის პირები კი აცილებულ იქნებოდნენ პასუხისმგებლობისაგან. ამასთან დავით ახალაიას შეჰპირდა, რომ პასუხისგებაში მიცემულ პირებს შეიწყალებდა მათი მსჯავრდების შემდეგ“ — ნათქვამია გენერალური პროკურატურის განცხადებაში.

2008 წლის 24 ნოემბერს, საქართველოს იმჟამინდელმა პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა, ბოროტად გამოიყენა რა მისი სამსახურებრივი უფლებამოსილება, დავით ახალაიასათვის წინასწარ მიცემული უკანონო დაპირების შესაბამისად, შეწყალების კომისიის გვერდის ავლით, შეიწყალა და საპატიმრო სასჯელები გაუნახევრა მსჯავრდებულებს გერონტი ალანიას, ალექსანდრე ღაჭავას, მიხეილ ბიბილურიძესა და ავთანდილ აფციაურს, რის შემდეგაც მათ მიმართ შესაძლებელი გახდა ვადამდე პირობით გათავისუფლების სამართლებრივი მექანიზმის გამოყენება და ისინი გათავისუფლდნენ სასჯელის მოხდისგან დაპატიმრებიდან 3 წლისა და 9 თვის შემდეგ.

როგორც პროკურატურა აღნიშნავს, სანდრო გირგვლიანის მიმართ ჩადენილი დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირები სასჯელის მოხდის პერიოდში, ბაჩანა ახალაიას ძალისხმევით, წინასწარი დაპირების შესაბამისად, სარგებლობდნენ კანონით აკრძალული შეღავათებით. გარდა ამისა, მათ დანაშაულის რეალური გარემოებების, აგრეთვე აღნიშნულ დანაშაულში დავით ახალაიასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვა თანამშრომლების დაფარვის სანაცვლოდ, ეტაპობრივად გადაეცათ თითოეულს 100 000 აშშ დოლარი.

გამოძიება მიიჩნევს, რომ სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა განშტოებების ერთობლივმა და ურთიერთშეთანხმებული დანაშაულებრივი მოქმედებების გამო, რასაც სათავეში ედგა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, სანდრო გირგვლიანის საქმეზე არ განხორციელდა მართლმსაჯულება, მოხდა საქმის რეალური გარემოებების ფალსიფიკაცია და დავით ახალაიას და სხვათა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან აცილება.

### „სანდრო გირგვლიანის საქმეში მიხეილ სააკაშვილის შესახებ ორი ჩვენებაა“

როგორც მიხეილ სააკაშვილის ადვოკატი ამბობს, სანდრო გირგვლიანის საქმეში ყოფილი პრეზიდენტის წინააღმდეგ სარწმუნო მტკიცებულებები არ არსებობს. საქმეში მხოლოდ ორი მოწმის ჩვენებაა, რომელიც მიხეილ სააკაშვილს შეეხება.

„რაც შეეხება საქმის მასალებს, რომელიც მიხეილ სააკაშვილს ეხება — ეს არის ოლეგ მელნიკოვის ჩვენება, რომელიც არ არის პირდაპირი, ეს არის ირიბი ჩვენება. ოლეგ მელნიკოვს პრეზიდენტთან პირდაპირი შეხება არ ჰქონია და იგი აცხადებს, თითქოს დათა ახალაიამ მას უთხრა, რომ პრეზიდენტი შეწყალების გამოყენებას დაჰპირდა. ხოლო მეორე ჩვენება გახლავთ ირაკლი ოქრუაშვილის ჩვენება, რომელიც მიხეილ სააკაშვილის საქმეებში მორიგე მოწმედ გვევლინება. რამდენიმე საქმეში აქვს ჩვენება მიცემული. სააკაშვილის წინააღმდეგ ერთგულად აძლევს ჩვენებებს, რა საქმეზეც არ უნდა დაიბარონ. ისიც საუბრობს, თითქოს პრეზიდენტმა მას უთხრა, რომ შეწყალებასთან დაკავშირებით შეთანხმებული იყვნენ. ალბათ, ობიექტური დამკვირვებელი დამეთანხმება, რომ ირაკლი ოქრუაშვილის ჩვენებას სერიოზულად ვერ განვიხილავთ, ვინაიდან მას ბრალდებულის მიმართ პირადი დაინტერესება აქვს, ხოლო მელნიკოვის ჩვენება რამდენად სარწმუნო შეიძლება იყოს, ეს საზოგადოებამ განსაჯოს,“ — აღნიშნა ადვოკატმა.

### „სასამართლო გაოგნებულია...“

სანდრო გირგვიანის საქმეზე არსებობს სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილება. სტრასბურგის სასამართლომ დააკმაყოფილა საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ გირგვლიანის ოჯახის სარჩელი და განაცხადა, რომ სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმის გამოძიებას „აშკარად აკლდა საჭირო დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, ობიექტურობა და საფუძვლიანობა“.

სასამართლომ ყველა დონეზე განხორციელებული საგამოძიებო პროცესი გააკრიტიკა და განაცხადა, რომ მას „აშკარად აკლდა“ მიუკერძოებლობა. სასამართლომ აღნიშნა, რომ „ის გაოგნებულია იმ ფაქტის გამო, რომ არც პროკურატურა და არც ადგილობრივი სასამართლოები არ შეეცადნენ გაერკვიათ“ საქმის რამდენიმე ძირითადი გარემოება.

„ხელისუფლების მიერ ამგვარი შერჩევითი მიდგომა სასამართლოსთვის მიუღებელია, რადგანაც იმისათვის, რომ გამოძიება ეფექტური იყოს, მისი დასკვნები ყოველთვის უნდა ეფუძნებოდეს ყველა შესაბამისი ელემენტის ღრმა, ობიექტურ და მიუკერძოებელ ანალიზს“ – ნათქვამია განაჩენში. სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ ხელისუფლება გამოძიების ჩატარებისას არ იყო გულწრფელი.

„სასამართლო გაოგნებულია იმ შეთანხმებული ქმედებებით, რომლითაც ხელისუფლების სხვადასხვა შტოები მოქმედებდნენ... რათა ამ საშინელ მკვლელობის საქმეზე მართლმსაჯულება არ აღსრულებულიყო,“ – განაცხადა სტრასბურგის სასამართლომ.

როგორც განაჩენშია აღნიშნული, სასამართლოს თქმით, ხელისუფლების სხვადასხვა შტოების მიერ შეთანხმებული მოქმედება მოიცავდა ისეთ ქმედებებს, როგორიც იყო ხარვეზები როგორც შსს-ს მიერ, ასევე პროკურატურის მიერ წარმოებულ გამოძიებებში; სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უკანონო გადაწყვეტილება ყველა განსასჯელის ერთ საკანში მოთავსებასთან დაკავშირებით; ასევე ხარვეზები სასამართლოს მიმდინარეობისას და პრეზიდენტ სააკაშვილის „არაკეთილგონივრული შემწყნარებლობა“ მსჯავრდებულთა მიმართ, როდესაც 2008 წელს მან შეიწყალა ისინი და სასჯელი გაუნახევრა. 2009 წელს ოთხივე მსჯავრდებული ვადაზე ადრე გაათავისუფლეს.

საქართველოში ჩატარებული სასამართლო პროცესთან დაკავშირებით სტრასბურგის სასამართლომ განაცხადა, რომ სასამართლო პროცესის „მთავარი ნაკლოვანება“ იყო ქართული სასამართლოს „მტკიცე უარი, რომ მოსარჩელეებისთვის საქმის მასალების შესასწავლად საკმარისი დრო მიეცა“.

„გამაოგნებელია, რომ ასეთ განსაკუთრებულად რთულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვები მხოლოდ ცხრა დღეს გაგრძელდა. ამ პერიოდში მხარისთვის [გირგვლიანის ოჯახისთვის] და მოსამართლეებისთვისაც კი ასეთი მოცულობითი საქმის მასალების შესწავლა აბსოლუტურად შეუძლებელი იყო,“ – განაცხადა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ.

სასამართლოს გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ ვინაიდან საქართველოს ხელისუფლებამ ვერ შეძლო ჩაეტარებინა შესაბამისი გამოძიება, რომელიც სანდრო გირგვლიანის გარდაცვალების შესახებ „სრული სიმართლის გამოაშკარავებას შეძლებდა და რომელსაც ყველა პასუხისმგებელი პირის ადეკვატური დასჯა მოჰყვებოდა“, სასამართლომ მოსარჩელის მორალური ზიანის ასანაზღაურებლად სახელმწიფოს 50 000 ევროს გადახდა დააკისრა.

**ცოტნე გაბადაძე**

# ქუთაისის ყინულის მოედნის დირექტორის ბრძანებებზე „მოსრიალე“ თანამშრომლები

## გივი ფანჩულიძეს თანამშრომელთა „ექსპლუატაციასა“ და „ღამის ფართებისთვის“ ფულის აკრებას ედავებიან

**პირველი** გვერდიდან

დავის შესახებ დეტალურ ინფორმაციას არ ფლობს მერიის იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი ირაკლი გიორგაძე. როგორც მან აღნიშნა, აიპ-თან ამ საკითხზე თანამშრომლობა მხოლოდ კონსულტაციით შემოიფარგლება. რაც შეეხება გადაწყვეტილებებს, „ყინულის მოედანი“, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი, თავად იღებს.



„კულუარებში“ საუბრობენ, რომ გივი ფანჩულიძემ თანამშრომლებს ხელშეკრულებები არა ოპტიმიზაციის, არამედ პირადი ინტერესების და „კრიშის“ გარეშე დარჩენის გამო შეუჩერა. როგორც აღნიშნავენ, დირექტორი ყოფილ მეგობრებს პოლიტიკური ამინდის მიხედვით ირჩევს და ანგარიშს უწევს.

პირად ინტერესებთან ერთად, არასათანადო დამოკიდებულება გახდა მომავალ თანამშრომლობაზე უარის მიზეზი, რის გამოც გათავისუფლებულმა თანამშრომლებმა (ლაშა ლიპარტიანი, ნათია გუბელაძე, პოლიკარპე როხვაძე, გოჩა ბაზანდარაშვილი)სასამართლოს არა სამსახურში აღდგენის მოთხოვნით, არამედ მხოლოდ კომპენსაციისთვის მიმართეს.

„უკანონოდ და უსამართლოდ მოიქცა. ამიტომ დააკმაყოფილა სასამართლომ სარჩელი. ჩვენ არ მოგვითხოვია თანამდებობაზე აღდგენა, რადგან აღარ გვაქვს სურვილი, გივი ფანჩულიძის ხელქვეითები ვიყოთ. ეს კაცი, როგორც დირექტორი, არ არის კარგი კადრი“ – განაცხადა ყინულის მოედნის ყოფილმა თანამშრომელმა, **ლაშა ლიპარტიანმა**.

ერთ-ერთი თანამშრომელი კი დირექტორის საქციელს გაცილებით მწვავე შეფასებას აძლევს და „არაკაცურს“ უწოდებს. ამავდროულად, სამსახურში ყოფნის პერიოდში დირექტორთან კარგ ურთიერთობაზეც საუბრობს.

„ეგ ადამიანი არაკაცურად მოიქცა. თუ გაშვება უნდოდა, ეთქვა და წამოვიდოდი. არ მივმართე სასამართლოს, რადგან არ მინდოდა ჩივილები და მსგავსი რამეები. რაც მაქვს სათქმელი, პირადად რომ ვნახავ, მაშინ ვეტყვი. იმიტომ თუ გამომიშვა, რომ მე ყოფილმა ხელისუფლებამ დამნიშნა, მაშინ ეგეც წინა ხელისუფლების მიერ „ნაცნობობით“ მოხვდა ამ პოსტზე და არა პროფესიული ღირსების გამო. ეთქვა და გავიგებდი, რომ საჭირო აღარ ვიყავი, ესე რომ არ გამოვეშვი, არ შეიძლებოდა? იცით რა არის, მას უნდა, ყველა ფეხქვეშ ეგებოდეს და მის სურვილებს ასრულებდეს, როგორც უნდა, ისე, თავის ნებაზე ათამაშებს და აშანტაჟებს თანამშრომლებს. იმასაც კი იძახის: „მე თუ მერიაში „წამკუზავენ“, კარგი დღე არც თქვენ დაგადგებათო!“ – განაცხადა ყოფილმა თანამშრომელმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა.

***

გივი ფანჩულიძე ყინულის მოედნის დირექტორის თანამდებობაზე 2011 წელს გია თევდორაძის მერობის დროს დაინიშნა. როგორც მაშინ ვრცელდებოდა ინფორმაცია, ფანჩულიძეს თანამდებობაზე რეკომენდაცია ყოფილი მერის ახლობელმა გაუწია და ყინულის მოედანი ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელწიფო დრამატული თაეტრის იმჟამინდელ ბარმენს ჩააბარეს. თავის მხრივ, ფანჩულიძემ მოედანზე საკუთარი გუნდი შემოიკრიბა, რომელთა შორისაც თეატრის რამდენიმე თანამშრომელი და ახალი დირექტორის მეგობარი იყო. სწორედ ეს მეგობრები აღმოჩნდნენ ხელშეკრულებაშეჩერებულ თანამშრომელთა რიგებში და როგორც დირექტორი ამბობს, ეს არა პირადი ინტერესების, არამედ მოედანზე განხორციელებული კადრების ოპტიმიზაციის გამო მოხდა.



გივი ფანჩულიძე

„P.S. ფოტო“ (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

„აბსურდულია ბრალდება, რომ ვინმე პირადი ინტერესების გამო გავუშვი. ოპტიმიზაცია და შტატების გაუქმება მოხდა, ამიტომ აღარ გავუგრძელეთ ხელშეკრულება. ვინც ამბობს, რომ ეს პირადი ინტერესების გამო გავაკეთე, მაშინ დააკონკრეტოს, რას გულისხმობს. ზოგადად, ვინც მიდის სამსახურიდან, ყველა ასე ამბობს. უბრალოდ, ეს შტატები აღარ იყო საჭირო. ეს ჩვეულებრივი მუშა პროცესია, შტატის ხან დამატება გვჭირდება, ხანაც პირიქით – შემცირება. ეს არაა ჩემი კერძო ბიზნესი, სახელმწიფო სამსახურია, მე მხოლოდ შუამავალი ვარ დაქირავებულსა და სახელმწიფოს შორის“ – აღნიშნავს **ფანჩულიძე.**

კითხვაზე, მოხდა თუ არა თანამშრომლებისთვის ხელშეკრულების შეჩერება ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე და იყო თუ არა ეს კანონდარღვევა? – გვპასუხობს: „გაფრთხილება არ მომხდარა, ხელშეკრულებები ვადის გასვლის შემდეგ ავტომატურად შევუჩერეთ. რაც შეეხება, არის თუა არა ეს კანონდარღვევა, ვერ გიპასუხებთ, ვინაიდან მე იურისტი არ ვარ და იურიდიულად ვერ განვიხილავ. თქვენ რა გაინტერესებთ, რა მოხდა, თუ როგორ ფუნქციონირებს ყინულის მოედანი?“

დირექტორისგან განსხვავებით, მომხდარს კანონდარღვევას უწოდებს იურისტი. რომელიც განმარტავს, რომ საჯარო სამსახურის თანამშრომლისთვის ერთთვიანი ხელშეკრულების გაფორმება განუსაზღვრელი დროით შეიძლება, თუმცა, ხელშეკრულების სამი თვის განმავლობაში სისტემატურად გაფორმების შემდეგ, თანამშრომელი ავტომატურად სარგებლობს გრძელვადიანი ხელშეკრულების პრინციპებით. მისი გაუფრთხილებლად გათავისუფლება კი კანონდარღვევაა. სავარაუდოდ, სწორედ ეს არგუმენტი გახდა სასამართლოს მიერ თანამშრომლების სარჩელის დაკმაყოფილების მიზეზი.

მიმართა თუ არა სააპელაციო სასამართლოს მერიის მოთხოვნით, დირექტორი ჩვენთან საუბარში არ ადასტურებს, თუმცა, როგორც ყოფილი თანამშრომლები აღნიშნავენ, ფანჩულიძემ მათთან საუბარში სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ინიციატორად ქუთაისის მერია დაასახელა და გამოაცხადა, რომ თავად კომპენსაციის გადახდაზე თანახმა იყო.

მერიის მიერ განაჩენის სააპელაციოში გასაჩივრების მოთხოვნას არ ადასტურებენ ადგილობრივ ხელისუფლებაში. როგორც მერიაში განმარტავენ, მერიაში არც განაჩენის სააპელაციოში გასაჩივრება მოუთხოვია და არც ყინულის მოედანზე განვითარებულ მოვლენებზე ფლობენ დეტალურ ინფორმაციას. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ყინულის მოედნის შემცირებული შტატისთვის ახალ სახელფასო განაკვეთს ხელს უშუალოდ ქალაქის მერი შოთა მურღულია და მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი ირაკლი ავალიანი აწერენ.

ყინულის მოედნის ბიუჯეტი 2012 წელს 404 000 ლარი იყო, მომავალ წელს 24 000 ლარით შემცირდა და 380 000 ლარი შეადგინა, 2014 წელს მერიის აიპ-ის ბიუჯეტი კი 2 000 ლარით გაიზარდა და 382 000 ლარი გახდა. რაც შეეხება მომავალ წელს, მიუხედავად შტატების შემცირებისა, აიპი კვლავ 382 000 ლარს ითხოვს, თუმცა, მერია ქალაქის მთავარ ფინანსურ დოკუმენტზე ამ დრომდე მუშაობს და ზუსტი ციფრები, ჯერჯერობით, უცნობია.

შემცირებული შტატების პირობებში სახელფასო ფონდი ერთი თვის განმავლობაში 16 697 ლარია, რაც წლის განმავლობაში 200 364 ლარს შეადგენს. მიუხედავად არსებული მონაცემებისა, მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი, ირაკლი ავალიანი აღნიშნავს, რომ ყინულის მოედნის სახელფასო ფონდი 382 000 ლარის მხოლოდ მიზერული ნაწილია და ვინაიდან მოედანი არ არის კაპიტალური, შესაბამისად, თანხები კომუნალურ გადასახადებსა და მოედნის შენახვაზე იხარჯება.

თანამშრომელთა შორის ყველაზე დაბალი ექიმის ხელფასია – 350 ლარი. მოედანზე ექიმის ორი შტატია, თუმცა, ამ დროისთვის ბავშვების ჯანმრთელობაზე მხოლოდ ერთი ექიმი ზრუნავს, რომელიც ნახევარ განაკვეთზე მუშაობს. დარჩენილი დღეები კი ყინულის მოედნის მოსწავლეები ექიმის მეთვალყურეობის გარეშე რჩებიან. შტატის აუთვისებლობას დაბალ ხელფასს არ უკავშირებს ყინულის მოედნის დირექტორი და ამბობს, რომ ამ დრომდე მასთან სამუშაოს მსურველი ლიცენზირებული ექიმი არ მისულა, რომელიც სამსახურზე მხოლოდ უარს მცირე ანაზღაურების გამო იტყოდა.

21 თანამშრომლიანი ყინულის მოედნის დირექტორს ორი მოადგილე ჰყავს, რომელთა ანაზღაურებაც 1300 ლარია. სჭირდება თუ არა ორი მოადგილე ყინულის მოედნის ადმინისტრაციას გამართულად მუშაობისთვის? – დირექტორი კონკრეტულ პასუხს ვერ გვცემს და განმარტავს, რომ მოადგილეები მისი არყოფნის დროს დირექტორის სამუშაოს ასრულებენ და სწორედ ერთობლივი საქმიანობის შედეგია მოედნის გამართული და წარმატებული მუშაობა.

საინტერესოა ფაქტი, რაც ერთ-ერთი მოადგილის დანიშვნას უკავშირდება. დავით შარაბიძე, ქუთაისის ყოფილი ვიცე-მერის გია შარაბიძის ვაჟია. შარაბიძე ყინულის მოედნის დირექტორის მოადგილედ სწორედ იმ დროს დაინიშნა, როდესაც ქუთაისის მერის მოვალეობას გია შარაბიძე ასრულებდა. ანუ, როგორც მაშინ ამბობდნენ, შარაბიძემ მოასწრო და შვილს კარგი სამსახური „გაუჩალიჩა“, თუმცა, სატელეფონო საუბარში ყოფილმა ვიცე-მერმა თავიდან ვერ შეძლო, გაეხსენებინა, როდის დაინიშნა მისი შვილი მოადგილედ, მოგვიანებით კი აღნიშნა, რომ მის მიერ მერის მოვალეობის შესრულების პერიოდში მისი შვილი მერიის ეკონომიკის სამსახურში მუშაობდა, რასაც კანონი კრძალავდა. ამიტომ მანვე გაათავისუფლა შვილი დაკავებული თანამდებობიდან, რომელმაც, ყოფილი ვიცე-მერისსავე განმარტებით, ყოველგვარი ნეპოტისმის გარეშე თავად მოძებნა სამსახური ყინულის მოედანზე. მისივე თქმით, ამ ფაქტთან კი მერის მოვალეობის იმჟამინდელ შემსრულებელს არავითარი კავშირი არ ჰქონია.

მეორე მოადგილე კი ასევე მესხიშვილის დრამატული თეატრის ყოფილი მსახიობი, გიგა ჩიქოვანი, თავად დირექტორმა შეარჩია.

ყინულის მოედნის დირექტორის მისამართით ბრალდებებს ადამიანური ურთიერთობების კუთხითაც გამოთქვამენ და ამბობენ, რომ დირექტორი თანამშრომელთა მანიპულირებას ერთთვიანი ხელშეკრულებით ცდილობს. სამსახურის დაკარგვით აშანტაჟებს. შიშის ფაქტორს უკავშირებენ რამდენიმე თანამშრომელის მიერ დირექტორისთვის სახლში რემონტის გაკეთებაც.

ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს გივი ფანჩულიძე, რომელმაც თავდაპირველად მისი მისამართით გამოთქმულ შენიშვნას აბსურდული უწოდა, მოგვიანებით კი აღნიშნა, რომ ყინულის მოედანზე დასაქმებული ადამიანები მისთვის არა მხოლოდ თანამშრომლები, არამედ მეგობრებიც არიან, რომელთა კეთილდღეობაზე პასუხისმგებლობა აკისრია და თუ მეგობარს არასამუშაო საათებში დახმარება სთხოვა, ეს თანამშრომელთა ექსპლუატაციად არ უნდა იყოს აღქმული. დირექტორი სიმართლის დასადგენად ბრალმდებლებს იმ ადამიანების გაცნობას სთავაზობს, რომელთაც მის სახლში რემონტი ჩაატარეს. თუმცა, დირექციის მისამართით გამოთქმული ბრალდება ამით არ სრულდება. ხელმძღვანელს სამსახურში ქეიფებსა და დროსტარებაშიც სდებენ ბრალს და ამბობენ, რომ ყოველ კვირას „სუფრის გასაწყობად“ თანამშრომლებში თანხა იკრიბება. ბოლოს 15-15 ლარი დირექტორის მამის საკურთხის გასაკეთებლად შეგროვდა.

ყინულის მოედნის ადმინისტრაციას ადგილობრივი მოსახლეობაც უპირისპირდება. მათ საციგურაო დარბაზიდან გვიან ღამემდე გამოსული ხმაურის გამო, მერიას საჩივრით არაერთხელ მიმართეს.

ადგილობრივების საქციელში ლოგიკას ვერ ხედავს მოედნის დირექტორი, რომელიც აღნიშნავს, რომ დარბაზიდან მუსიკის ხმა და ოვაციები მხოლოდ ღონისძიებების და ჰოკეისტთა რეპეტიციების დროს გადის.

„ბავშვებს ემოციების გამოხატვას ვერ აუკრძალავ. გაუგებარია და მიუღებელია, რა მოტივით და რატომ აპროტესტებს მოსახლეობა მოედნის ხმაურს, როდესაც სწორედ მათი შვილები და შვილიშვილები სარგებლობენ ამ დარბაზით?“

***

ყინულის მოედანი ამ დროისთვის 5-დან 14 წლამდე ასაკის, დაახლოებით, 700 ბავშვს ემსახურება. მოედანზე სწავლა ნებისმიერი მსურველისთვის უფასოა, სადაც ასევე ჰოკეის სწავლება მიმდინარეობს. აღსანიშნავია, რომ ქუთაისის ყინულის მოედანი არის ერთ-ერთი დარბაზი საქართველოში, რომელსაც ჰოკეისტთა გუნდი ჰყავს.

მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისის მერიაში სპორტული გაერთიანების აიპი ფუნქციონირებს, როგორც ვიცე-მერი ნოდარ მიქიაშვილი აღნიშნავს, ყინულის მოედნის სპორტულ აიპ-ში გაერთიანება არ იგეგმება.

როდის და როგორ დასრულდება დავა ყინულის მოედანის დირექტორსა და ყოფილ თანამშრომლებს შორის, სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტს. როგორც ხელშეკრულებაშეჩერებული თანამშრომლები აღნიშნავენ, არ არის გამორიცხული, საჭიროების შემთხვევაში, სიმართლის დასადგენად უზენაეს სასამართლოსაც მიმართონ.

**ნესტან ჩაგელიშვილი**

## ფაქტები და მითები ევროკავშირის შესახებ

**მედიის განვითარების ფონდმა (MDF) ტელევიზიების, პრესისა თუ ონლაინ-გამომცემლობების მენეჯერებისა და პროდიუსერებისათვის თავისი მიმდინარე პროექტის — „მედიის პროფესიული დეტექტორი: ფაქტები და მითები ევროკავშირის შესახებ“ — პრეზენტაცია გამართა.**

პრეზენტაციას სხვადასხვა სტუმართან ერთად, დონორი ფონდის, „ღია საზოგადოება-საქართველოს“ წარმომადგენელი ხატია ჯინჯიხაძე ესწრებოდა.

პროექტის მიზნებსა და მნიშვნელობაზე ისაუბრეს მედიის განვითარების ფონდის გამგეობის თავმჯდომარემ, თამარ კინწურაშვილმა და ფონდის წარმომადგენლებმა: თამარ ხორბალაძემ, ლიკა ბასილიამ.

მათი თქმით, პროექტის მიზანია საზოგადოების კვალიფიციური ინფორმირება ევროინტეგრაციის პროცესისა და დასავლური ღირებულებების შესახებ; ასევე — მედიის მიერ ან მედიის მეშვეობით ინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებით გავრცელებულ არასწორ ფაქტებზე რეაგირება, ალტერნატიული ინფორმაციის საზოგადოებისთვის მიწოდების გზით.

სწორედ ამ მიზნით შეიქმნა პლატფორმა http://www.eurocommunicator.ge/ , რომელიც შესაძლებლობას მისცემს საზოგადოებას, მედიის წარმომადგენლებს, ხელი მიუწვდებოდეთ კვალიფიციურ კვლევებზე, იმ დეზინფორმაციის საპირწონედ, რომელიც ხშირად საჯარო სივრცეში სხვადასხვა წყაროებიდან ვრცელდება. ამ მიზნით პროექტის ფარგლებში თემატურ საკითხებზე „მითების დეტექტორი“ მზადდება.

მკითხველს ჩვენი გაზეთიც პერიოდულად მიაწვდის ინფორმაციებს, „მითების დეტექტორზე“ დაყრდნობით.

# მითი ოჯახური წარმოების სოფლის მეურნეობის პროდუქციით ვაჭრობის აკრძალვაზე მცდარია

**ოჯახურ პირობებში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვის აკრძალვას არც ევროკავშირთან გაფორმებული „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ ითვალისწინებს და არც ამ შეთანხმების საფუძველზე საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი (სურსათის უვნებლობის კოდექსი).**



2015 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც სასაკლაოებსა და ნედლი რძის გადამამუშავებელ საწარმოებს საქმიანობას უკრძალავს საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემის (HACCP) დანერგვის გარეშე. HACCP-ის მიზანია უვნებელი სურსათის წარმოების უზრუნველყოფა, კერძოდ, სურსათის დამზადების დროს, ნებისმიერი საფრთხის აღმოფხვრის მიზნით, ეფექტიანი მონიტორინგის სისტემის შექმნა.

თუმცა, მონიტორინგის მოთხოვნა არ ვრცელდება ფიზიკური პირების, მათ შორის, გლეხების მიერ წარმოებულ ან ოჯახური წარმოების ფარგლებში დამზადებულ სურსათზე. ასეთ შემთხვევებში მონიტორინგს არც პირველადი წარმოება (მცენარის მოყვანა, მოსავლის აღება, ნაყოფის კრეფა, ცხოველის გაზრდა, რძის წველა და ა.შ.) ექვემდებარება და არც გადამუშავების პროცესი (გაცხელება, შებოლვა, დაკონსერვება, გამოშრობა, დამარილება, გამოწურვა და ა.შ.), რომელიც მნიშვნელოვანად ცვლის პირველადი პროდუქტის სახეს.

სურსათის უვნებლობის კოდექსი ოჯახურ წარმოებას განმარტავს, როგორც სურსათის ან ცხოველის საკვების წარმოებას არაორგანიზებულად ან პირადი მოხმარების მიზნით. სურსათის ეროვნული სააგენტოს თანახმად, არაორგანიზებულ წარმოებაში იგულისხმება, სახლის პირობებში, საგადასახადო ვალდებულებების წარმოქმნის გარეშე, საკუთარი საჭიროების ან ადგილობრივი ბაზრისთვის, მცირე რაოდენობის ყველის, მაწონისა და სხვა მსგავსი პროდუქტების დამზადება.

იმავდროულად, ოჯახურ საწარმოებს, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გასაყიდად, შეიძლება სურსათის უვნებლობის დამადასტურებელი დოკუმენტის აღება დასჭირდეთ. ბიზნეს-ოპერატორებს (სურსათის მაღაზია, აგრარული ბაზარი და ა.შ.) უვნებელი სურსათის გაყიდვის ვალდებულება აქვთ. სურსათის უვნებლობის კოდექსი ითვალისწინებს შესაბამის სანქციებს (გაფრთხილება, ჯარიმა ან მუშაობის უფლების შეჩერება) ამ ვალდებულების შეუსრულებლობისთვის. ამიტომ, ბიზნეს-ოპერატორებმა შესაძლოა, გლეხებისგან პროდუქციის ლაბორატორიული კვლევის ოქმი მოითხოვინ ან საკუთარი ხარჯებით უზრუნველყონ სურსათის გამოკვლევა იმისათვის, რომ სტაბილური მომწოდებლები არ დაკარგონ. სხვა ქვეყნების მაგალითი, რომლებმაც ევროკავშირის სტანდარტების დანერგვის გზა უკვე გაიარეს, აჩვენებს, რომ ბიზნეს-ოპერატორები ზოგჯერ თავად ეხმარებიან გლეხებს, უვნებელი სურსათის დამზადების მიზნით, წარმოების სათანადო პრაქტიკის დანერგვაში.

სურსათის უვნებლობის კოდექსი, საოჯახო საწარმოების გარდა, შეღავათიან პირობებს, ასევე, უწესებს მცირე ზომის (წლიური ბრუნვა არა უმეტეს 200 ათასი ლარისა) და სხვა ისეთ საწარმოებს, რომლებიც მაღალმთიან რეგიონებში აწარმოებენ სურსათს ან სურსათის წარმოების ტრადიციულ მეთოდებს იყენებენ. აღნიშნულ მეწარმე სუბიექტებს, HACCP სისტემის დანერგვის ნაცვლად, სურსათის უვნებლობის მინიმალური სტანდარტების დაცვა მოეთხოვებათ, რაც, ძირითადად, საწარმოო პროცესის სუფთა გარემოში წარმართვას და უვნებელი ნედლეულის გამოყენებას გულისხმობს. სურსათის უვნებლობის სააგენტო მხოლოდ მაღალი რისკის შემცველი ცხოველური სურსათის მწარმოებელ ასეთ საწარმოებს შეამოწმებს ყოველწლიურად.

**ზურა მოდებაძე**
http://www.eurocommunicator.ge/

# PIN-მა სოციალურად დაუცველ ახალგაზრდებს პროფესიის უფასოდ შესწავლის და საკუთარი საქმიანობის წამოწყების საშუალება მისცა

**ჩეხური არაკომერციული ორგანიზაცია People in need (PIN) საქართველოში 2005 წლიდან ფუნქციონირებს. 9 წლის განმავლობაში ორგანიზაციამ არაერთი პროექტი განახორციელა, რაც, ძირითადად, განათლებას, სოფლის მეურნეობის ხელშეწყობას და სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების დახმარებასა და საზოგადოებაში ინტეგრაციას ითვალისწინებს.**



2012 წლის მაისიდან 2014 წლის დეკემბრის ჩათვლით კი ორგანიზაცია PIN ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს (ჩეხური განვითარების სააგენტოს) თანადგომით ახორციელებს სოციალური მხარდაჭერის პროექტს. აღნიშნული სოციალური პროექტი იმერეთს მოიცავს, რომლის ფარგლებში ამჟამად ტყიბულის, ქუთაისისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების ჩართვა განხორციელდა.

ორგანიზაციის პროექტი თავის თავში რამდენიმე აქტივობას აერთიანებს. ერთ-ერთი პროექტი მიმართულია სოციალურად დაუცველ ახალგაზრდობასთან მომუშავე ადგილობრივი მმართველობის ორგანოების, შესაბამისი სამსახურების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა უნარების ამაღლებაზე, ასევე სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები ახალგაზრდების და მათი ოჯახის წევრების მხარდაჭერაზე.

ორგანიზაციის მიზანია, რაც შეიძლება მეტი სოციალურად დაუცველი ახალგაზრდა ჩაერთოს პროექტში. შეისწავლოს საქმიანობა და მიიღოს დაფინანსება, რომ მომავალში სოციალური დახმარების იმედად და სახელმწიფოს კეთილ ნებაზე არ იყვნენ დამოკიდებულნი. რაც მთავარია, ჰქონდეთ საკუთარ ქალაქსა თუ სოფელში მუშაობის მოტივაცია.

სოციალური სტატუსის მქონე ახალგაზრდებისთვის ორგანიზაციის მხარდაჭერით პროფესიის შემსწავლელი უფასო კურსები მოეწყო. ახალგაზრდებმა გასაუბრება-შერჩევის შემდეგ, სხვადასხვა პროფესიის შემსწავლელი კურსები გაიარეს, საკუთარი საქმიანობის დასაწყებად და ინვენტარის შესაძენად მცირე საგრანტო დაფინანსებაც მიიღეს. პროფესიული კურსების შესახებ პროექტის მენეჯერი **ნათია ახალაია** დეტალურად საუბრობს:

„პროექტი ქუთაისში, ტყიბულსა და წყალტუბოში ხორციელდება. პირდაპირ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს 15-დან 23 წლამდე ახალგაზრდები ეკონომიკურად შეჭირვებული ოჯახებიდან და სოციალური მომსახურებით დაკავებული ინსტიტუტების წარმომადგენლები. სოციალური მომსახურების სააგენტოსთან თანამშრომლობით შევარჩიეთ ახალგაზრდები სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, რომელთაც შერჩევის შესაბამისი ეტაპების გავლის შემდეგ გაიარეს ხელობის შემსწავლელი კურსები. კანდიდატები მათი აქტიურობისა, მოტივაციისა და მიზანდასახულობით შეირჩნენ. პროექტის დაწყებიდან დღემდე, პროექტის ფარგლებში ხელობის შემსწავლელი კურსები 106 ახალგაზრდამ გაიარა. მათ შორის 23 ყველაზე წარმატებულს, საგრანტო კონკურსში მონაწილეობის შედეგად, მათი საქმიანობებისთვის საჭირო აღჭურვილობები გადაეცათ (სტილისტი, ბუღალტერი, მზარეული, PIN სპეციალისტი, მასაჟისტი, მანქანის ელექტროშემკეთებელი, ფეხსაცმლის მკერავი), რაც შემდგომ დასაქმებაში შეუწყობთ ხელს. ექვსთვიანი მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი მონაცემების მიხედვით ბენეფიციართა უმეტესობა დასაქმებულია და გააჩნია საკუთარი შემოსავალი.“

პროფესიის შემსწავლელი კურსები კარგი საშუალება აღმოჩნდა საკუთარი მიკრობიზნესის წამოწყების სურვილის მქონე ახალგაზრდებისთვის. პროფესია შესწავლილთა უმეტესობამ საკუთარი ბიზნესსაქმიანობა წამოიწყო და სოციალური დახმარების იმედად აღარ არის. მონაწილეები იმ შედეგებსა და საქმიანობაზე საუბრობენ, რასაც პროექტის ფარგლეში მიაღწიეს.

### „ვაპირებ საკუთარი საქმის დაწყებას“

სოსო იშხნელი 23 წლისაა, მან მეწაღეობის შემსწავლელი კურსები ტყიბულში გაიარა.

სოსო თავდაპირველად მაღაროში მუშაობდა. თუმცა, ჯანმრთელობის პრობლემების გამო, მუშაობის გაგრძელება ვეღარ შეძლო. ამიტომ, ძირითადად, საშინაო საქმეებით იყო დაკავებული, სოსოს ოჯახი სოციალურად დაუცველის სტატუსით სარგებლობდა და დახმარებას იღებდა. ერთ დღესაც სოციალური მუშაკის მიერ შეიტყო, რომ პროფესიის

შემსწავლელი უფასო კურსებით სარგებლობა და სასურველი საქმიანობის შესწავლა შეეძლო.

„ეს ინფორმაცია გონებაში დამრჩა და გადავწყვიტე ამ შანსით მესარგებლა. ჩემს ბავშვობაში ბიძაჩემი თბილისში მეწაღედ მუშაობდა და, როდესაც მასთან სტუმრად ჩავდიოდი, ძალიან მიყვარდა მისი საქმიანობისთვის თვალყურის დევნება. მომწონდა მისი პროფესია და ვფიქრობდი კიდეც, რომ ეს ჯანმრთელობისთვის არანაირი რისკის შემცველი არ იყო. დავიწყე კურსებზე სიარული. ჯერ კიდევ გიზო მასწავლებელთან ვმუშაობ დამხმარედ და ძალიან ბევრ რამეს ვსწავლობ მისგან. როგორც თვითონ აღნიშნა, საკმაოდ სწრაფად ვითვისებ პროფესიას და სწორედ ამიტომ მომცა მასთან დარჩენის და მუშაობის საშუალება. ტრენინგის დასრულების შემდგომ ორგანიზაციისგან მივიღე სამუშაო იარაღების ნაკრები და ტყავის საკერავი მანქანა, ეს ყველაფერი მომეხმარება, რომ მალე გამოცდილების მიღების შემდგომ დამოუკიდებლად გავაგრძელო მუშაობა და მქონდეს საკუთარი საქმე. ძალიან ვაფასებ იმ ყველაფერს, რაც ორგანიზაციამ People in Need და გიზო მასწავლებელმა გააკეთეს ჩემთვის. მომავალში რამდენიმე წლის განმავლობაში მე აღარ დამჭირდება სამუშაოს ძებნა, რადგან უკვე მაქვს საკუთარი პროფესია, რომელიც მიყვარს. ამ პროფესიით, რა თქმა უნდა, ბევრ ფულს ვერ ვიშოვი პატარა ქალაქში, მაგრამ ჩემთვის საკმარისს ყოველთვის გამოვიმუშავებ. ერთი თვის წინ დავქორწინდი, ახლა უკვე საკუთარი ოჯახი მაქვს და მალე საკუთარი საქმის დაწყებასაც ვგეგმავ. რომ ოჯახის შენახვა შევძლო.“

ვინაიდან პროფესიის შემსწავლელი უფასო კურსები მოგვიანებით მთავრობის ორგანიზებითაც მოეწყო და სახელმწიფოს პატრონაჟით დაფინანსებულ კოლეჯებში სწავლა ბევრად მოსახერხებელი იყო, ორგანიზაცია PIN -მა პროფკურსების უკეთ საქმიანობისთვის პროექტს ახალი კომპონენტი დაამატა, რომლის ფარგლებშიც პროფესიის შემსწავლელ კურსებში სოციალურ მუშაკთა ასოციაციის დახმარებით ამჟერად მცირე ტიპის საოჯახო სახლების ბენეფიციარები და მეურვეობით აღზრდაში მყოფი 14 ახალგაზრდა ჩაერთო. რომელთაც სრულწლოვნების შემდეგ პროფესიით მუშაობის საშუალება ექნებათ. რამდენიმე ახალგაზრდის დასაქმების სურვილი უკვე გამოთქვა ორგანიზაციის მიერ დაფინანსებულმა სოციალურმა საწარმოებმა.

**ნესტან ჩაგელიშვილი**

R

# წყალტუბოს გამგეობას რეაბილიტირებულ შენობას საახალწლოდ ჰპირდებიან

**წყალტუბოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, ქალაქ წყალტუბოში ათ სხვადასხვა მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტს ახორციელებს, რომლის საერთო ღირებულება შეადგენს 49 068161 ლარს.**



ამჟამად დასრულებულია ოთხი მსხვილი პროექტი: ქ. წყალტუბოში საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია, რომლისთვისაც გამოყოფილი იყო 3 550 000 ლარი, სამუშაო შეასრულა შპს „ინსმა“, ქ. წყალტუბოში სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია, საცხოვრებელი კორპუსების და ახლოს მდებარე სოფლების გამრიცხველიანების სამუშაო, რომელიც შესრულებული იქნა სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის მიერ. აღნიშნული პროექტისათვის გამოყოფილი იყო 6 379 574 ლარი. წყალტუბოს კურორტის მართვის ოფისის, პარკში და ცივი ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე მცირე ზომის შენობა-ნაგებობის მშენებლობა, რომელიც შეასრულა შპს „დაგმა“ (ღირებულება: 5 948 597 ლარი), ასევე დასრულებულია „ცივი ტბისა“ და „ცივი ტბიდან“ გამომავალი არხების რეაბილიტაცია (ღირებულება 4 148000 ლარი, სამუშაოები აწარმოა შპს „აზერტუნელმა“), წყალსადენის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია (ღირებულება 5 191 844 ლარი), სამუშაო აწარმოა შპს „წყალკანალრემშენმა“.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს შემდეგი სამუშაოები: ცენტრალურ პარკში და „ცივ ტბაზე“ გარე განათების რეაბილიტაცია (ღირებულება 2 660 786 ლარი), სამუშაოს აწარმოებს სს „ერისიმედი“, შესრულებულია სამუშაოს 85%; ყოფილი პოლიციის შენობის, რკინიგზის სადგურის, საკონცერტო დარბაზ „ივერიის“, რკინიგზის სადგურის მიმდებარე მოედნისა და ცენტრალურ პარკში არსებული მცირე ზომის საფეხმავლო ხიდების რეაბილიტაციის სამუშაოები (ღირებულება 2 899 075 ლარი), შემსრულებელი შპს „ჯავა“, შესრულებულია სამუშაოს 30%; ცენტრალურ პარკში და „ცივ ტბაზე“ გზების, სავალი ბილიკებისა და სადრენაჟე სისტემის რეაბილიტაცია (ღირებულება 7 349 000 ლარი), სამუშაოს აწარმოებს შპს „დაგი“, შესრულებულია სამუშაოს 40%; წრიული გზების, სანიაღვრე და სადრენაჟე სისტემის რეაბილიტაცია (ღირებულება 5 917127 ლარი), შემსრულებელი შპს „ცეკური“, შესრულებულია სამუშაოს 90%; ქ. წყალტუბოს ცენტრალური პარკისა და „ცივი ტბის“ ტერიტორიის გამწვანება, კეთილმოწყობა და სარწყავი სისტემის მონტაჟი (ღირებულება: 3 161 900 ლარი), სამუშაოს აწარმოებს შპს „მწვანე სახლი“, შესრულებულია 30%.

თითქმის სამი წელია, რაც ქალაქ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შენობა ხარაჩოშია ჩასმული.

გარკვეული პერიოდი რეაბილიტაციის პროცესი გაჩერებული იყო, ამჟამად კი აქტიური მუშაობა მიმდინარეობს შენობის იერსახის შესაცვლელად.

ქალაქის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის 266 795 ლარია გამოყოფილი, სამუშაოებს შპს „ქართლი“ ასრულებს. როგორც წყალტუბოს გამგებელმა **კონსტანტინე მამისეიშვილმა** გვითხრა, გამგეობის შენობის რეაბილიტაცია 2014 წლის ბოლოს დასრულდება.

როგორც ცნობილია, პირველ ეტაპზე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შენობა დასრულდება, რომელიც საახალწლოდ უნდა ჩაბარდეს, ხოლო სხვა დანარჩენ სარეაბილიტაციო სამუშაოებს 2016 წლის ბოლოს ექნება საბოლოო სახე.

**ჟანა ჯანელიძე**

## ახალი რეანიმობილები იმერეთში

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ და პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის ხელმძღვანელმა დიმიტრი ხუნდაძემ, ქუთაისის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, იმერეთის სამედიცინო დახმარების ცენტრებს ახალი სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანები გადასცეს.**

სასწრაფოს ავტოპარკის განახლების მეორე ეტაპზე დასავლეთ საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში 30 მაღალი გამავლობის, ბარის ტიპის რეგიონებში კი — საშუალო გამავლობის 8 ავტომობილი გადანაწილდება.

დავით სეერგეენკოს განცხადებით, ახალი, თანამედროვე ტიპის რეანიმობილები სასწრაფოს მუშაობას გააუმჯობესებს. 2014 წლის ბოლომდე კი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტოპარკი სრულად, საშუალო გამავლობის 80 და მაღალი გამავლობის 100 ავტომობილით განახლდება.

რეანიმობილების გადაცემის პროცესი 29 ოქტომბერს დაიწყო. 24 ავტომობილი სამედიცინო დახმარების 9 რაიონულ ცენტრში გადანაწილდა. ქუთაისს პირველ ჯერზე 5 ავტომობილი გადაეცა. დამატებით 5 რეანიმობილს მიიღებს.

**ნესტან ჩაგელიშვილი**
psnews.ge

# „ყვავს კაკალი გააგდებინო, მაინც ხეირია“

## 10 ლარით გაზრდილი პენსია და სიახლით უკმაყოფილო ქუთაისელი პენსიონერები

**2015 წლის ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენის შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხი პენსიების ზრდა იყო. 11 ნოემბერს ცნობილი გახდა, რომ 2015 წელს პენსია ყველა კატეგორიის პენსიონერს 10 ლარით გაეზრდება. ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განაცხადა. ხადურის თქმით, უმრავლესობასთან შეხვედრაზე მთავრობამ უმრავლესობის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ მომავალ წელს, პირველი სექტემბრიდან, პენსია გაეზრდება ყველა კატეგორიის პენსიონერს 10 ლარით, ანუ 2015 წელს პენსიების ზრდა არ მოხდება სოციალური კატეგორიის მიხედვით, არამედ ის ყველა პენსიონერისთვის გაიზრდება. ხადურის თქმით, პენსიების ზრდა 2016 წელსაც გაგრძელდება.**



ბიუჯეტის პარამეტრების ზრდასთან დაკავშირებით ნოდარ ხადურმა აღნიშნა, რომ ის ეკონომიკური ზრდით არის განპირობებული.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრების თქმით, პენსიის ყველა კატეგორიის პენსიონერისთვის გაზრდის ინიციატივა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს ეკუთვნის.

პენსიების გაზრდის რეკომენდაცია მთავრობას პარლამენტის საბიუჯეტო-საფინანსო კომიტეტის თავმჯდომარემ დავით ონოფრიშვილმაც მისცა.

2015 წლის ბიუჯეტის განახლებული ვერსია პირვანდელ ვარიანტს, დაახლოებით, 200 მილიონი ლარით აღემატება, ბიუჯეტის პირვანდელი ვერსიით, პენსიების ზრდა არცერთი კატეგორიის პენსიონერისთვის არ იყო განსაზღვრული. თუმცა, ბიუჯეტში მალევე შევიდა ცვლილებები.

ამდენად, ბიუჯეტის პროექტში ხელახლაა ის თანხები გასათვლელი, რაც პენსიის 10 ლარით ზრდას დასჭირდება.

საქართველოში პენსიონერებს 2013 წლის 1 სექტემბერიდან გაეზარდათ მინიმალური პენსია და ამჟამად მისი ოდენობა 150 ლარს შეადგენს.

საპენსიო ასაკი ქალებისთვის 60 წელი, ხოლო მამაკაცებისთვის 65 წელია. ამჟამად, 694 ათასზე მეტი ასაკით პენსიონერია ოფიციალურად რეგისტრირებული; ორი წლის წინ ეს ოდენობა, დაახლოებით, 682 ათასს შეადგენდა.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მთავრობამ პენსია მხოლოდ ერთხელ, 2013 წლის 1 სექტემბერს გაზარდა. მინიმალური პენსია 150 ლარი გახდა. ასაკის პენსიონერთათვის სახელმწიფო პენსიის ფულადი ოდენობა 125 ლარიდან 150 ლარამდე გაიზარდა. პენსიის მატება 681 392 პენსიონერს შეეხო.

„ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროს პენსია 2012 წლის 1 სექტემბრიდან 100 ლარიდან 125 ლარამდე გაიზარდა. 67 წლის ასაკზე უფროს ადამიანებს – 25 ლარით, ხოლო 15 ლარით იმ პენსიონერებს, რომლებიც ამ 10-ლარიან დანამატს იღებენ. 2008 წელს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საარჩევნო კამპანიის ფარგლებში მინიმალური პენსიის 100 აშშ დოლარამდე გაზრდას დაპირდა, რისი შეუსრულებლობის გამოც ოპოზიცია მას ხშირად აკრიტიკებდა.

პენსიის ყოველწლიური ზრდის შესახებ დაპირება პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამაშიც არის.

ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხადურის ინფორმაციით, ყველა კატეგორიის პენსიონერისთვის პენსიის ზრდის პროცესი 2016 წელსაც გაგრძელდება.

თუმცა, მანამდე ჯერ კიდევ ერთი წელია, 2015 წელს, პენსიის მხოლოდ 10 ლარით მატებასთან დაკავშირებით საზოგადოებამ კრიტიკული დამოკიდებულება გამოხატა.

ჩავატარეთ გამოკითხვა ქუთაისელ პენსიონერებს შორის.

**ვახტანგ ბარათელი:** „ეს ხომ დაცინვაა და მეტი არაფერი. 10 ლარის მომატება რა შეღავათს გამიკეთებს, მაშინ, როცა სიგარეტს თითქმის ყოველდღე მიძვირებს? პროდუქტებს ცეცხლის ფასები აქვს და ათი ლარი მეყოფა? ეს ცინიზმია.“

**შურა დადიანი:** „ყვავს კაკალი გააგდებინო, ეგეც ხეირია, შვილო. რაში მომემატება ახლა მე 10 ლარი, ჯერ ის 150 არ მყოფნის წამლებისთვის, მაგრამ მაინც კარგია, რომ რაღაც შეიცვალა სასიკეთოდ.“

**თინა კოპალიანი:** „თვითონ ხომ იღებენ ათასებს და გაჭირვებული ხალხი ვის აინტერესებს. თვითონ არ იკლებენ არაფერს ჩვენი უმუშევარი შვილები და მოსწავლე შვილიშვილები კი ჩვენი 150 ლარის შემყურენი არიან. ძალლივით გადმოგვიგდეს ათი ლარი და ჰგონიათ, დიდი რამ გააკეთეს. ეჰ, გაჭირვებული კაცისთვის არავინ არ არის შვილო.“

**ამირან კვირიკაშვილი:** „ის ათი ლარი მილიონებზე დაიმატონ და თავად დაირიგონ, იქნებ გაძღეს მათი მუცლები. მე არაფერში არ წამადგება მათი დანამატი.“

**ნათელა მეგრელი:** „რა არის შვილო, ათი ლარი. ყველაფერს ცეცხლის ფასი ეკიდება და მაგათი მომატებული 10 ლარი არაფერში არ წერია. ეს ხომ დაცინვაა. ხალხს ატყუებენ და თავსაც იტყუებენ. ჰგონიათ, რომ რაღაცას აკეთებენ, ფხაკურობენ და შედეგად ხალხის გაღიზიანებას იწვევენ.“

**მირანდა მამარდაშვილი**: „ჩემთვის, ის 150 ლარიც არაფერს არ წარმოადგენს შვილო, ამდენი ხანი თუ ამ ცვლილებისთვის მუშობდა ჩვენი მთავრობა, კარგად გვქონია საქმე. ამ ტემპით ვერ „გავფრინდებით“ ხალხნო. სიახლეა საჭირო.“

**გივი დონდუა:** „ჯერ თუ მიმატებ პენსიას, ცოტა ისე გაზარდე, რომ შეეტყოს ხალხს სასიკეთო ცვლილება. თანაც პირველი სექტემბრიდან გაიზრდებაო. მანამდე ჯერ ერთი წელია და ამ ერთი წლის განმავლობაში თვითონ ისე აძვირებს ყველაფერს, რომ მის მიერ დამატებულ 10 ლარზე ბევრად მეტს ჩემგან „ამოიღებს“ მთავრობა. და, რა გამოვიდა? მე გაჭირვებულმა კაცმა ვიხეირე, თუ ჯიბეგასქელებულმა ჩინოვნიკებმა?“

ფინანსთა მინისტრის მოადგილის **გიორგი კაკაურიძის** განცხადებით, 2015 და 2016 წლებში გარდა პენსიებისა, ასევე იგეგმება პედაგოგთა შრომის ანაზღაურების გაზრდაც. მისივე თქმით, ფინანსთა სამინისტრო ამჟამად მუშაობს განათლების სამინისტროსთან ერთად აღნიშნულ საკითხზე და ბიუჯეტის პროექტის გადამუშავების პროცესში ამ მიმართულებით თანხების მობილიზება მოხდება.

ჯერჯერობით, უცნობია, რამდენლარიან დანამატს დააჯერებენ პედაგოგებს. თუმცა, დღეის მდგომარეობით, პენსიონერებს მოუწევთ 10-ლარიან მატებას დასჯერდნენ.

**ჟანა ჯანელიძე**

## ერთი დოლარი 1,83 ლარი ღირს, რაც გასული ოთხი წლის მაქსიმუმია

**გასულ კვირას ერთი დოლარი 1,83 ლარი ღირდა, რაც გასული ოთხი წლის მაქსიმუმია.**

ეკონომისტებისა და პოლიტიკოსების ნაწილმა ლარის გაუფასურება ბიუჯეტის არასწორ დაგეგმვას მიაწერა. თუმცა, ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური არ იღებს ამ კრიტიკას. მისი შეფასებით ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზეგავლენა ლარის გაცვლით კურსზე ნულის ტოლია. ხადურის თქმით, ქვეყნის ბიუჯეტის შესრულებაში პრობლემები არ არასებობს და თვლის, რომ პასუხისმგებელი ეროვნული ბანკია.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების ცენტრის ხელმძღვანელის რომან გოცირიძის შეფასებით კი ეროვნული ბანკი ლარის გაუფასურებაში დამნაშავე არ არის, რადგანაც მას ჭარბი ფული მიმოქცევაში არ გაუშვია. ეროვნულმა ბანკმა ამ დროისთვის ლარის გაცვლითი კურსის დარეგულირებისთვის ნაბიჯები უკვე გადადგა. 25 ნოემბერს ეროვნულმა ბანკმა სავალუტო აუქციონზე $40 მილიონი გაყიდა, თუმცა ლარის კურსის დადებითი ცვლილება ჯერ არ შეიმჩნევა. ლარის გაუფასურების პროცესი ერთი თვეა გამწვავდა, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინო ბოლო დღეებში გახდა. განსაკუთრებით ზარალდებიან ისინი, ვისაც ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში აქვთ აღებული.

tabula.ge

## საფრანგეთში უმუშევრობამ რეკორდულ ნიშნულს 3,46 მილიონს მიაღწია

**ოქტომბრის თვის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, საფრანგეთში უმუშევრობა 3,46 მილიონს შეადგენს, რაც საფრანგეთისთვის უმუშევრობის რეკორდული მაჩვენებელია.**

ოქტომბერში უმუშევრობის სოციალური შემწეობის მსურველთა რაოდენობა 0,8%-ით აღემატება წინა თვის მაჩვენებელს, ხოლო მთლიანად უმუშევართა რიცხვი 2013 წლის მაჩვენებელს 5%-ით აღემატება.

საფრანგეთის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი წელს 0,4%-ს შეადგენს, ეკონომისტების შეფასებით, უმუშევრობის შემცირებისთვის საფრანგეთის ეკონომიკური ზრდა მინიმუმ 2% უნდა იყოს.

საფრანგეთის ეკონომიკის მინისტრის ემანუელ მაკრონის შეფასებით, საფრანგეთი უმუშევრობის ციებ-ცხელებას აქვს მოცული, რაც სასწრაფო რეფორმებს საჭიროებს. ქვეყნის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა ოქტომბერში განაცხადა, რომ ის გადადგებოდა, თუკი უმუშევრობის ზრდის შეჩერებას ვერ შეაჩერებდა, თუმცა აღნიშნული სტატისტიკის გასაჯაროების შემდეგ განაცხადა, რომ ის უმუშევრობასთან ბრძოლას გააძლიერებს. ფრანსუა ოლანდის სოციალისტური პარტიის რეიტინგი უკანასკნელი კვლევის შედეგად რეკორდულად დაბლაა დაცემული.

tabula.ge

# მთიანი ქალაქის 120 წლის თეატრი

**საქართველოს თეატრალურ ხელოვნებას დიდი ხნის ისტორია აქვს. ქართული თეატრის საფუძვლებს თუ ჩავწვდებით, შეგვიძლია, თამამად ვთქვათ, რომ ავბედითი ქვეყნის რეალობას ყოველთვის ალამაზებდა ბერიკა, კარის მასხარა, და ბოლოს, მსახიობი.**



ეროვნული სიამაყის განცდა გეუფლება, როცა ბერიკაობას, როგორც სანახაობას, ადარებ სხვადასხვა ერის ანალოგებთან. დიონისე-ბახუსის გვერდით ბერიკა უფრო აკადემიური ჩანს, უფრო დახვეწილი და ზრდილიც. თუ ძველ საბერძნეთში ორგიებიც იმართებოდა სახალხო ჩვენებისას, ჩვენებურ ხონთქრობა-ყეენობას მხოლოდ კრიტიკულ-ირონიული ელფერი დაჰკრავდა. მწარე ისტორიულ რეალობას ქართველი ბერიკა თეატრალიზებულად გამოსახავდა და თეატრალიზებულად სანუკვარი იდეაც გაჟღერდებოდა: დამპყრობელი „ხვანთქარი“ თუ ყაენი აუცილებლად უნდა დამარცხებულიყო. ბერიკები და კარის მასხარები ყველა მანკიერი მხარის მხილებისთვის მზად იყვნენ, „ცხენებიც შეკაზმული ჰყავდათ“ სიმართლის მთქმელებს და ისეთ თემებზეც აკეთებდნენ აქცენტს, რომელიც ტაბუდადებულად ითვლებოდა.

ქართული თეატრის ისტორია დიდებული ისტორიაა და ის სამოქალაქო საზოგადოების ინტერესს შეადგენდა ყოველთვის. საერთოდ, ქალაქების სრულფასოვანი ჩამოყალიბება წარმოუდგენელიცაა თეატრის გარეშე. ურბანული ელემენტებიდან თეატრი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია და შეიძლება ითქვას, რომ არა ერისთავის „გაყრა“, შესაძლოა, მე-19 საუკუნის თბილისს ვერასდროს დაენახა საკუთარი სახე. აბა, როგორი წარმოსადგენია ჩვენი დედაქალაქი რუსთაველის თეატრის გარეშე? წარმოგიდგენიათ ქუთაისი მესხიშვილის თეატრის გარეშე? კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ჭიათურისთვის სახელმწიფო თეატრი! ჭიათურამ, როგორც ქალაქმა და აკაკი წერეთლის სახელობის თეატრმა ერთად დაიწყეს არსებობა. მანგანუმის საბადოებით სახელგანთქმულ ჭიათურას ყველაზე საამაყოდ თეატრი გააჩნია. თბილისის და ქუთაისის თეატრების შემდეგ, ფაქტობრივად, ჭიათურის თეატრი, კლასიკური გაგებით, მესამე იყო ქვეყანაში და ზემოიმერული პატარა ქალაქის სავიზიტო ბარათადაც გადაიქცა.

ყველაზე მნიშვნელოვანი და კულტურული სტუმრის მოსახიბლავად ჭიათურას ბევრი რამ გააჩნია: კაცხის სვეტი, ტაძრები, მღვიმეები, მანგანუმის საბადოები, ზოგადად, რელიეფიც კი უნიკალურია და მომნუსხველი, მაგრამ თავის მოსაწონებლად ფინალში მაინც თეატრს იტოვებენ „შავი ოქროს ქალაქში“.

**დიდებული წარსული, რომელსაც ჭიათურაში ქმნიდა ტექნიკური ინტელიგენცია და თეატრი, ღირსეულად უნდა გაგრძელდეს. ამ ესტაფეტას კი ჭიათურა ხელიდან არ უშვებს, რადგან ბოლო 120 წელში წელიწადიც კი არ ყოფილა, რომ სახელოვნებო სეზონი „ჩავარდნილიყო“. წარმოიდგინეთ და მანგანუმის რეწვა შეჩერებულა, ხოლო თეატრს სიცივის, სიბნელის და უსახსრობის მიუხედავად არსებობა არ შეუწყვეტია.**

1894 წელს სცენისმოყვარეთა წრის წარმომადგენლებმა დაიწყეს პირველი სპექტაკლების ჩვენება, 1901 წლიდან ჭიათურას უკვე აქვს სათეატრო დარბაზი... ალბათ, ისიც ძალიან მნიშვნელოვანია, ვინ იდგა ჭიათურის თეატრის სცენაზე. ღირსეული მსახიობების ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს. ბევრმა ადამიანმა არ იცის, რომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან 4 წელიწადში ჭიათურას ჰქონდა თეატრის ახალი შენობა, თუმცა ამის პარალელურად არ უნდა დაგვავიწყდეს ის პერიოდიც, როცა ბოლშევიკურმა რეპრესიებმა რატომ გადაუარა ყველაზე მტკივნეულად ჭიათურას.

**პროლეტარული მენტალობა ჭიათურაში ძნელი დასამკვიდრებელი იყო, რადგან მანგანუმის მრეწველები ფინანსებს და ძალ-ღონეს არ იშურებდნენ კეთილი საქმეების გასაკეთებლად. სწორედ მათი თაოსნობით შენდებოდა ჩოგბურთის პირველი კორტები საქართველოში, აკადემიური თეატრი, საავადმყოფო, სკოლები, საქალაქო ინფრასტრუქტურა. რთული იყო, მანგანუმის მრეწველებისაგან შეგექმნათ სისხლისმსმელი კაპიტალისტის სახე, რადგან, სხვას რომ თავი დავანებოთ, „შავი ქვის მრეწველთა საბჭო“ უამრავ სტუდენტს უფინანსებდა სწავლა-განათლებას (მათ შორის, კონსტანტინე გამსახურდიასაც).** მრეწველმა დეკანოზიშვილებმა არსებული სტერეოტიპის მსხვრევა იმით დაიწყეს ჭიათურაში, რომ თავიანთი ოჯახის წევრები აიყვანეს სცენაზე და განასახიერებინეს როლები. ეს იყო უზარმაზარი რევოლუცია მენტალურად. ქალაქი, ფაქტობრივად, შექმნა თეატრალურმა საზოგადოებამ. ბოლშევიკებმა მენტალობის შეცვლა 1924 წლის აჯანყების ჩახშობით დაიწყეს და სისხლის მდინარეებს გაატანეს იმ კეთილი საქმეების ნუსხა, რომელიც მრეწველთა სახელებს უკავშირდებოდა.

როგორც თეატრის დირექტორი, ქალბატონი ნანა წერეთელი გვეუბნება, გასული საუკუნის 90-იან წლებში თეატრი განადგურების პირას მივიდა, დაიკარგა ბევრი ექსპონატი. ყველაზე საინტერესო, მისივე აზრით, თეატრისა და სამოქალაქო ისტორიის სპეციალისტებისათვის სწორედ მე-20 საუკუნის 20-იანი წლები უნდა იყოს და საფუძვლიანადაც შეისწავლონ, რათა ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას (ჭიათურის თეატრმა უკვე გააფორმა მემორანდუმი სახელმწიფო არქივთან, რათა აღდგეს ნაწილობრივ მაინც ის ექსპონატები, რომელთა დეფიციტს არასდროს განიცდიდა ეს პროვინციული თეატრი).

როდის იდგა ჭიათურაში თეატრისათვის ოქროს ხანა? ამაზე ცალსახა პასუხი არ არსებობს, რადგან ალექსანდრე იმედაშვილის „ოტელო“, ნატო გაბუნიას „ხანუმა“, ან პავლე ფრანგიშვილის დროინდელი „ყვარყვარე თუთაბერი“, ან კიდევ ცერცვაძის „ლამბალო და ყაშა“ ერთმანეთზე ნაკლები არ არის და მათი შედარებაც არ შეიძლება სახელოვნებო უნიკალურობის გამო.

ბევრისთვის ლადო მესხიშვილია ჭიათურის თეატრის მშვენება, ზოგისთვის — მაკო საფაროვა, არ დაგვავიწყდეს მიხეილ ვაშაძე, ქართველ ჟან გაბენად წოდებული გრიგოლ ტყაბლაძე და კიდევ ათეულობით მსახიობი, რომელთა ნათამაშევი როლები მსოფლიოს წამყვანი თეატრებისთვისაც კი ფუფუნებად ჩაითვლება.

ახალი თაობის ადამიანები თეატრალური ხელოვნებით და სპექტაკლებით ნაკლებად ინტერესდებიან. თეატრს კონკურენციას უწევს კინო და ტელევიზია, თუმცა ჭიათურაში ყველა სპექტაკლს ჰყავს მაყურებელი და ჭიათურის თეატრის გასტროლები ყოველთვის წარმატებულია. ფრანგიშვილის ხელმძღვანელობის დროს დაწყებული წარმატებული გასტროლები 21-ე საუკუნეშიც გრძელდება. სამხატვრო ხელმძღვანელი, მამუკა ცერცვაძე, რომელიც „თეატრის შესახებ კანონის“ შესაბამისად დაინიშნა ჭიათურაში, არაფრით გამოირჩევა საზოგადოებაში. იმერული ზრდილობა და უბრალოება მას მორიდებულ კაცად გვიხატავს, მაგრამ ეს ჩუმი ადამიანი რეპეტიციების დროს ქუხს (ჩემთვის ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ მკაცრი დირექტივის გახმიანების დროს შიშით გადავხედე მასაც და მსახიობებსაც) და, სადადგმო ხარჯების სიმცირის მიუხედავად, მაქსიმუმს აკეთებს. მოკლედ, მამუკა ცერცვაძე ტიპური რეჟისორი არ არის და მკვეთრი ინდივიდუალიზმი ახასიათებს. ალბათ ამიტომაც შეიქმნა მისი „ლამბალო და ყაშა“ იმდენად კარგი, რომ საქართველო აალაპარაკა. ის სამსახიობო რესურსი, რომელიც ჭიათურაშია, სათანადო მენეჯმენტით აღწევს წარმატებებს.

დანამდვილებით ვერაფერს გეტყვით, მაგრამ წერეთლის სახელობის თეატრის სცენის ჯადოსნურობაზეც საუბრობენ. აქ ბევრად უკეთესი გამოსდით ხანუმაც, ყვარყვარე თუთაბერიც, ოტელოც და ყაშა ლაზარე თუ ეპისკოპოსი პავლე!

ჭიათურის თეატრის დიდებული წარსულის ღირსეული გაგრძელებაა ახალი, თანამედროვე პერიოდი. ქართული თუ უცხოური დრამატული ნაწარმოებები ერთნაირი პროფესიონალიზმით იდგმება სცენაზე და მაყურებელს ძალდაუტანებლად იწვევს დარბაზისკენ.

**ვერასდროს დაივიწყებთ ახალი თაობის მსახიობებს, რომლებიც სულაც არ არიან ჩრდილში მოქცეულნი გამოცდილი აქტიორების გვერდითაც კი. არჩილ ხვედელიძე, უბოროტესი ყაშას როლის მიღმა სახელიმილიანი მამა და სამთოელია, ლამბალოს მეგობარი ექიმი გოჩა აბაშიძეა, რომლის ეფექტურობა სცენაზე მარტო გარეგნობით არ გხიბლავთ. მისი ხმის ხავერდოვნება მაყურებელს დიდხანს ახსოვს. თეატრის იმედად, ახალგაზრდების გვერდით არიან საშუალო და ძველი (და არა მოძველებული) თაობის მსახიობები, რომელთა პროფესიონალიზმზე სათითაოდ დაიწერება მონოგრაფია.**

თეატრს მაყურებლის ტაშის გარდა სჭირდება მატერიალური მხარდაჭერა. 2015 წლისათვის ჭიათურის თვითმმართველობა გეგმავს საიუბილეო პერიოდის გამოცხადებას, თუმცა მანამდე ბევრი დროა და ორი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა ესაჭიროება ჭიათურის თეატრს. არცერთის განხორციელება არ არის რთული, მხოლოდ კეთილი ნებაა საჭირო. თეატრს არ ჰყავს თავისი ტრანსპორტი (არადა, რა იაფია ახლა მიკროავტობუსები...) და კიდევ უფრო მეტი საზრუნავი მცირე სცენის მოწყობაა. მის მოსაწყობად, დაახლოებით, 30 ათასი ლარი იქნება საჭირო.

ეგებ გამოჩნდნენ ადამიანები თუ ორგანიზაციები, რომლებიც ჭიათურის თეატრს გვერდში დაუდგებიან და გააკეთებენ იმას, რაც ქართული ხელოვნების განვითარებისთვისაა საჭირო. როცა ჭიათურის თეატრის ხელმძღვანელებს და თანამშრომლებს ესაუბრები, მათთვის პრიორიტეტი თეატრის პროგრესია და არა ხელფასების ზრდა. გინდ დაიჯერეთ და გინდ არა, ყაშა ლაზარეს როლის შემსრულებელი არჩილ ხვედელიძე იმისთვისაც კი არის მზად, რომ ანაზღაურების გარეშეც ითამაშოს სცენაზე. ასეთი ადამიანებით გადარჩა ბნელ 90-იან წლებში თეატრი, ახლა კი გადარჩენაზე კი არა, უკვე განვითარებაზე უნდა ვიფიქროთ...

**როლანდ ხოჯანაშვილი**

## კვირის ჰოროსკოპი

**ვერძი:** თქვენ ხართ ენერგიით სავსე. თუ თქვენ კარგად იშრომებთ, მაშინ შედეგიც კარგი იქნება. წარმატებული იქნება კომერციული ოპერაციები.

**კურო:** თქვენ მოგმართავენ საქმიანი წინადადებებით, მაგრამ არ ღირს მათი სწრაფად მიღება, ვინაიდან ის აღმოჩნდება არც თუ ისე ხელსაყრელი თქვენთვის. ყურადღება უნდა მიაქციოთ პროფესიონალური ამოცანების გადაწყვეტას.

**ტყუპები:** ეს დღეები კარგია როგორც გონებრივი, ისე ფიზიკური მუშაობისთვის. შესაძლებელია კუჭ-ნაწლავის პრობლემის წარმოქმნა. თქვენი კომუნიკაბელურობა ხელსაყრელია მეგობრებთან და ახლო ადამიანებთან შეხვედრისათვის. უფრო მეტი ყურადღება მიაქციეთ ბავშვებს.

**კირჩხიბი:** მოსალოდნელია გაუთვალისწინებელი შემოსავლები, მაგრამ იძულებული გახდებით თითქმის ყველაფერი დაახარჯოთ ბავშვებს ან მთელი ოჯახის დასასვენებლად წასვლას.

**ლომი:** იგრძნობთ ემოციურ აღმავლობას, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ დაკარგოთ სიმშვიდე. შეეცადეთ, თავი აარიდოთ ჩხუბს საყვარელ ადამიანთან, შესაძლებელია ამის შესრულება აღმოჩნდეს რთული. ნუ დანიშნავთ საქმიან მოლაპარაკებებს.

**ქალწული:** თქვენმა ოჯახის წევრებმა შეიძლება არ მოიწონონ თქვენი სურვილი მოიყვანოთ წესრიგში ბინა, რაც გამოიწვევს ხანგრძლივ კამათებს და ჩხუბს. მეგობრებთან შეხვედრა გპირდებათ საინტერესო დასვენებას.

**სასწორი:** ეს პერიოდი საუკეთესოა საქმიანი მოგზაურობებისთვის და მოლაპარაკებებისათვის. გამორიცხეთ საკუთარი მენიუდან ხორცი, შეცვალეთ ის ბოსტნეულით. ხელსაყრელი მომენტია საყვარელ ადამიანთან ურთიერთობების გასარკვევად.

**მორიელი:** თქვენ შეიძლება დაგიბრუნონ ვალი, ან მოგართვან ძვირფასი საჩუქარი. შეგიძლიათ თამამად აიღოთ სესხი. მოერიდეთ ადამიანებისთვის შენიშვნების მიცემას და ბრალის დადებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენ გელით სიმარტოვე.

**მშვილდოსანი:** ეს დღეები მოგმატებთ ძალას, რაც დაგეხმარებათ მრავალი ამოცანის გადაწყვეტაში. ამბავი, რომელსაც შეიტყობთ, იქნება მოულოდნელი და სასიხარულო ოჯახის ყველა წევრებისათვის.

**თხის რქა:** გელით სასიცოცხლო ძალების და შემოქმედებითი ენერგიის კლება. ანალიზის მეშვეობით სიტუაციის გაგების და მისი გარკვევის მცდელობები აღმოჩნდება უშედეგო.

**მერწყული:** ეს დღეები გპირდებათ სულიერ წონასწორობას, რაც ხელს უწყობს ჯანმრთელობის გაუმჯობესებას.

**თევზები:** გამოიჩინეთ სიბრძნე და თავშეკავება. თქვენ იქნებით განსაკუთრებით მეგობრული. გაუთვალისწინებელმა მოვლენებმა შეიძლება გამოიწვიონ სერიოზული კონფლიქტები სახლში.



## მკითხველის შემოქმედება

***

რად მინდა თერგი, რიონი, ან მტკვარი, თუნდაც სენაო.
მთა-ბარი ათასწლეულის, თეთნულდის თეთრი ფენაო,
აქა მაქვს სამარადჟამოდ შვიდივე ფერთა ცვენაო,
თუ არ მარგია, ვერ ვხედავ, არა მაქვს ყურთასმენაო.

რას მარგებს თეთრი მერანი, ფრინველთა გუნდის ფრენაო,
მგელთა ყმუილი, ან ლომთა დაუნდობელი ღრენაო.
ვერ გავალ, ვერც შენ გიშველი, წუხილმა იწყო ჩენაო,
თუ არ მასწავლე, მოძღვარო, წუთისოფელის თმენაო.

იბერიელნო, რადა შვით უფირსნი, ავხორციანი,
სად გაგონილა წინაპართ ლანძღავდეს თავნებიანი,
რად გვინდა სვეტიცხოველი, ტაძარი სვეტებიანი,
თუ ვერ შეიცან მოღვაწე, ჭარმაგი, ბედსევდიანი.

რა ვქნა, ვერასგზით გიშველე, ხეიბარი ვარ, ხიანი,
დავბერდი, დავჭლექიანდი, სული აღარ მაქვს ფრთიანი,
ვეღარ გავიგე სამყაროს წაღმა-უკუღმა სრიალი,
ვერ მოვიხმარე წალკოტი, მივდივარ ცოდვილიანი.

დაბადებული არ ვიყავ, დუშმანის ვნახე ცქერაო,
განგებას მიტოვებული, ერი გამთელა მტერმაო.
რას ვჩხავი, რას გავკივივარ, ვერავინ გვამჩნევს ჩვენაო,
აისხი ქამარ-ხანჯალი, ან დაითმინე წყენაო.

იბერიელნო, ოთხივე მხრიდან დაგეცა დუშმანი,
ქამარ-ხანჯალი შეიბით, ხელები გქონდეთ ფრთოსანი,
ეკვეთეთ, გაანადგურეთ, არ არის ჩვენი წრისანი,
ძველთაძველი და უკვდავი საქართველოს ღვთისანი.

**ჭლექიანი**

**P.S.**
ჭეშმარიტება — ტვინის მოქმედი უჯრედების შესაძლებლობაა.

## ნუ გადაყრით ნარჩენებს, გამოგადგებათ!

**ერთი შეხედვით უსარგებლო და ნაგავში გადასაყრელად გამზადებული ნარჩენები შეგიძლიათ, წარმატებით და სასარგებლოდ გამოიყენოთ. და აი, როგორ:**

**ბანანის ქერქი** — კარგი საკვებია მცენარეებისთვის. დაჭერით და დაფალით ქოთანში, ან გადარგვის დროს ჩააყოლეთ. ის კალიუმის კარგი წყაროა და მცენარის ზრდაზე დადებითად მოქმედებს.

კალიუმის კარგი წყაროა **უშაქრო ყავის ნალექიც.** შეგიძლიათ აკურატულად დაასხათ მცენარის ძირში.

**კაკლის ნაჭუჭი** შესანიშნავი ნატურალური დრენაჟია. გადარგვის დროს შეგიძლიათ ქოთნის ძირში ჩააყოლოთ.

**მანდარინის ქერქები** დაალაგეთ კარადებში, მარცვლეულის ქილებთან. კარგი სუნიც იქნება და ჭია, ჩრჩილი და პეპელაც არ მიეკარება.

**ფორთოხლის ქერქი** დაგეხმარებათ მიკროტალღურის გაწმენდაში. ჩადეთ ქერქი თასში, დაფარეთ წყლით და მაქსიმალურ სიმძლავრეზე 5 წუთი ადუღეთ. შემდეგ ღრუბლით და თბილი წყლით გაწმინდეთ ღუმელის შიდა ზედაპირი.

gemrielia.ge

## უფასო განცხადებები

### იყიდება

- 50 მ² არასტანდარტული ერთოთახიანი ბინა (34 მ² ოთახი+16მ² სამზარეულო-სააბაზანო), ქუთაისის ცენტრში, საუკეთესო ხედით, სარემონტო. ფასი შეთანხმებით.
ტელ.: (0 431) 24 40 66

- იყიდება სამოსახლო ეზო ქუთაისში, ტყიბულის ქუჩაზე. 500 კვადრატული მეტრი. ფასი შეთანხმებით.
ტელ.: 599 41 27 49; 25 38 17



შეადგინა ალეკო ნემსაძე

როგორ განვათავსოთ განცხადება გაზეთ „P.S.“-ში („პოსტსკრიპტუმში“)

## უფასოდ

ქვემოთ მოცემულ კუპონზე

**განცხადებების მიღება ხდება კერძო პირებიდან**

დაბეჭდვის თარიღი დამოკიდებულია კუპონის მიწოდების თანმიმდევრობაზე

**კუპონი უნდა ჩაბარდეს**

**რედაქციაში - ქ. ქუთაისი, რუსთაველის ქუჩა 37ა;**

**სავაჭრო ცენტრ „ფუდმარტში“(ყოფილი „პოპული“) - წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“, რუსთაველის 141.**

**არ მიიღება კანონთან შეუსაბამო, შეურაცხმყოფელი, უხამსი, ეროტიკული შინაარსის განცხადებები.**

განცხადების ღირებულება შედის გაზეთის ფასში

## მცირე განცხადების კუპონი

ალნიშნე კატეგორია

**უძრავი ქონება**
- ☐ გავყიდი
- ☐ ვიყიდი
- ☐ გავაქირავებ

**ავტო-მოტო**
- ☐ ვიყიდი
- ☐ გავყიდი

**სამსახური**
- ☐ ვეძებ სამუშაოს

**სხვადასხვა**
- ☐ ვიყიდი
- ☐ გავყიდი
- ☐ სხვა

- ☐ ცხოველები

**განცხადების შინაარსი**

ტელ.: >>

სახელი და გვარი (მხოლოდ რედაქციის ცნობისათვის)

კონტაქტი (მობილური ან სტაციონალური)

ელექტრონული ფოსტის მისამართი

☐ არ ვარ განცხადების შინაარსთან დაკავშირებული კერძო მეწარმე

☐ ვაცხადებ თანხმობას, ფირმის მიერ გამოყენებულ იქნას განცხადებაში აღნიშნული მონაცემები

ხელმოწერა გარკვევით _ _ _ _ _ _ _ _ _ _

**რედაქციას აქვს უფლება, კუპონზე შევსებული ერთჯერადი განცხადება დაბეჭდოს კუპონის ჩაბარების დღიდან 14 დღის განმავლობაში კუპონი (ერთჯერადი) არის ძალაში მისი გამოქვეყნების დღიდან 3 კვირის განმავლობაში.**

**1.12.2014**

## ვინ არის ფოტოზე?



პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე



პარლამენტარი **გია ცაგარეიშვილის** ამოცნობა მხოლოდ ჩვენმა ერთგულმა მკითხველმა, **სულიკო ფუტკარაძემ** შეძლო.

## რას დაარქმევდით?



ვანო მერაბიშვილი

დაგვიკავშირდით:
- (0 431) 24-45-46, 24-82-25.
- psnews27@gmail.com

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე



ემზარ კვიციანი

„შენი სიმართლის, კვიციან, ნაცნარჩენებმა იციან?!“

**შაქრო გაბელაშვილი**

## კროსვორდი

**ჰორიზონტალურად:** 3. თორმეტი გმირობის ჩამდენი; 5. ქალაქი რუსეთში, მდინარე ომზე; 6. არაბთა გაერთიანებული ემირატების აბრევიატურა; 8. სატელეფონო ტერმინი; 9. ძვირფასი მინა; 11. ბრიტანეთის ერთ-ერთი პროვინცია.

**ვერტიკალურად:** 1. იგავი, თქმულება; 2. პურის აღება. ალოობა; 3. მსოფლიოს უმაღლესი მთების სისტემა; 4. კარლ მარქსი და ფრიდრიხ ...; 7. შეიარაღებული ძალების ერთობლიობა; 10. ვენესუელის ყოფილი პრეზიდენტი ... ჩავესი.



**წინა ნომრის კროსვორდის პასუხები**

**ჰორიზონტალურად:**
3. იანვარი; 5. ადამი; 6. აგა; 8. ლაო; 9. კადრი; 11. ასპასია.

**ვერტიკალურად:**
1. ონიმა; 2. მაო; 3. ინდიანა; 4. იუგურთა; 7. მარსი; 10. უპე.

გახდი ქველმოქმედი, შემოუერთდი აქციას, აჩუქე ერთი ლამაზი ახალი წელი მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს — შეუძინე მათ სათამაშოები, წიგნები თუ ტკბილეული!

# გაზეთ „P.S.“-ის საახალწლო აქცია:
# „ვაჩუქოთ ერთი დღე ბავშვებს!“

**გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“ გთავაზობთ პარტნიორობას საახალწლო სოციალურ პროექტში: „ვაჩუქოთ ერთი დღე ბავშვებს!“**

**პროექტი ითვალისწინებს** საქველმოქმედო შემოწირულობებით წინასაახალწლოდ წიგნების, სათამაშოებისა და ტკბილეულის შეძენას რეგიონებში არსებული ბავშვთა სახლების, დღის ცენტრებისა და იმ სასწავლო დაწესებულებებისათვის, სადაც უმეტესად დევნილი, სოციალურად დაუცველი, შშმ და მზრუნველობამოკლებული პატარები სწავლობენ.

შემოწირულობების რაოდენობაზეა დამოკიდებული, თუ რამდენი ბავშვის გახარებას შევძლებთ საახალწლოდ. ამიტომ, გთხოვთ, იაქტიურეთ, თქვენი შესაძლებლობების მიხედვით ჩაერთეთ ამ აქციაში, რათა შევძლოთ, რომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები ბავშვები გავახაროთ საახალწლო საჩუქრებით.

ქველმოქმედ ადამიანებსა თუ კომპანიებს მედიასახლი „პოსტსკრიპტუმი“ სარეკლამო საინფორმაციო მხარდაჭერას სთავაზობს.

თუ თქვენი კომპანია ჩაერთვება ამ საქველმოქმედო აქციაში, მედიასახლი „P.S.“ („პოსტსკრიპტუმი“) ერთი თვის მანძილზე უფასოდ გამოგიყოფთ **თქვენი საქველმოქმედო შემოწირულობის ტოლფას სარეკლამო ფართს გაზეთ „პოსტსკრიპტუმის“ ინტერნეტპორტალზე www.psnews.ge, სადაც შესაძლებელი იქნება თქვენთვის სასურველი ნებისმიერი რეკლამის, განცხადების, მილოცვისა თუ სტატიის გამოქვეყნება.**

გთხოვთ, ქველმოქმედებისათვის გამოყოფილი თანხა ჩაგვირიცხოთ შემდეგ ანგარიშზე:
**„თიბისი“ ბანკის ქუთაისის ფილიალი;**
**ბანკის კოდი: 220101888**
**ანგარიში# GE05TB0300000040467281**
**მიმღები: შპს „P.S.“** („პოსტსკრიპტუმი“)
**ს/კ 212822775**

პატივისცემით, **ნატო გუბელაძე**
გაზეთ „პოსტსკრიპტუმისა“ და
ინტერნეტგამოცემა www.psnews.ge-ს მთავარი რედაქტორი

599 107794; 577 247711



## „ადგილი დაკავებულია“ — ორიგინალური აქცია საქართველოს დედაქალაქში

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღეს, რომელიც 3 დეკემბერს აღინიშნება თბილისში, რუსთაველის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე, ორიგინალური აქცია მიუძღვნეს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისთვის განკუთვნილ ადგილებზე ეტლები დაიდგა. შშმ პირების პარკინგის ადგილები კი ერთი დღით დაცარიელდა. აქციას, რომელიც ფონდ „სიცოცხლის ხის“ ინიციატივით ჩატარდა, „ადგილი დაკავებულია“ ერქვა.



## შშმ პირთა დასაქმების ფორუმი ქუთაისში

ქუთაისის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრმა სამუშაოს მაძიებელ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით დასაქმების ფორუმი მოაწყო.

ღონისძიებას იმერეთის ვიცე-გუბერნატორი სოსო ხახალეიშვილი, ევროკავშირის ოპერაციების ხელმძღვანელის მოადგილე სტეფან სტორკი და სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

დასაქმების ფორუმში 40 პოტენციური დამსაქმებელი და 50-მდე სამუშაოს მაძიებელი შშმ პირი იღებდა მონაწილეობას. პოტენციური დამსაქმებლები საჯარო, ბიზნეს და არასამთავრობო სექტორიდან იყვნენ წარმოდგენილები. ღონისძიების მსვლელობისას პოტენციურ დამსაქმებლებს სამუშაოს მაძიებლებთან პირადი გასაუბრებისა და მათი უნარების შეფასების საშუალებაც ჰქონდათ.

პოტენციურმა დამსაქმებლებმა ასევე მონაწილეობა მიიღეს დისკუსიაში, რომელიც საგადასახადო კოდექსში შშმ პირთა დასაქმების და მეწარმეთა წახალისების მხარდამჭერი ინიციატივების შემუშავებას ეძღვნებოდა.

ღონისძიება ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, შშმ პირთა პროფესიული განათლების და დასაქმების საპილოტე პროექტის ფარგლებში განხორციელდა.

**ნესტან ჩაგელიშვილი**
psnews.ge


წიგნების მაღაზია ქიმერიონი
qimerioni.ge

**ყოველგვარი ფასნამატის გარეშე შეიძინეთ:**

- ქართული თუ უცხოური ლიტერატურა;
- კლასიკოსი და თანამედროვე მწერლების ნაწარმოებები;
- მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული საბავშვო შემეცნებითი და გასართობი წიგნები;
- სამეცნიერო ხასიათის გამოცემები;
- ენციკლოპედიები;
- ლექსიკონები;
- ჟურნალ-გაზეთები

**წიგნები შენ გელოდება!**

ქუთაისი, ჭავჭავაძის 50ა (ჭავჭავაძის უნივერმაღი), წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“.
ტელეფონი: 790 927 927; (0 431) 274 474

პრესკონფერენციები, ბრიფინგები, პრეზენტაციები
PSPRESS-კლუბი



ქუთაისი, რუსთაველის 37ა (პრესის სახლი). 599 10 77 94